აგროტურიზმის და აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტულობა

მანანა შალამბერიძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

აგროტურიზმსა და აგრობიზნესს მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

პროგრესისა და დადებითი ასპექტების მიუხედავად, კვლავ რჩება რიგი გამოწვევები, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ბევრ რეგიონში, ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ცნობიერება აგროტურიზმის პოტენციალის შესახებ, სტანდარტებისა და რეგულაციების არაერთგვაროვნება.

ნაშრომში წარმოდგენილია არა მხოლოდ აგროტურიზმისა და აგრობიზნესის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არამედ ისეთი პერსპექტივები, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ბევრ რეგიონში, ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ცნობიერება აგროტურიზმის პოტენციალის შესახებ, სტანდარტებისა და რეგულაციების არაერთგვაროვნება.

ნაშრომში წარმოდგენილია არა მხოლოდ აგროტურიზმისა და აგროტურიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არამედ ისეთი პერსპექტივები, როგორიცაა: სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებელია აგროტურიზმისა და აგროტურიზმის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება; გამოყენება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში; აგროტურიზმისთვის მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საერთაშორისო ტურისტებში. ასევე განხილულია აგროტურიზმის წარმატებული მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, აგრობიზნესი, ტურისტები, აგრო-საკვები პროდუქტები, აგროტურიზმის ხელშეწყობა.

PRIORITIZATION OF AGROTOURISM AND AGRIBUSINESS DEVELOPMENT

Manana Shalamberidze,
Akaki Tsereteli State University

RESUME

Agritourism and agribusiness have an important role in ensuring both economic development and environmental and social sustainability.

Despite the progress and positive aspects, a number of challenges still remain, such as: lack of infrastructure in many regions, low awareness of the local population about the potential of agritourism, non-uniformity of standards and regulations.

The paper presents not only the pros and cons of agrotourism and agribusiness, but also perspectives such as: Lack of infrastructure in many regions, low awareness of the local population about the potential of agritourism, non-uniformity of standards and regulations.

The paper presents not only the pros and cons of agritourism and agribusiness, but also perspectives, such as: with the support of the state and international organizations, it is possible to use the potential of agritourism and agribusiness to the maximum; use More attention should be paid to education and introduction of modern technologies in agriculture; It will be important for agrotourism to improve the infrastructure and raise awareness among the local population, Also among international tourists. Successful examples of agrotourism are also discussed.

Keywords: agritourism, agribusiness, tourists, agrifood products, promotion of agritourism.

* * * *

აგროტურიზმი და აგრობიზნესი ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში აქტიურად ვითარდება. ამ სექტორებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოს დაცვითი და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

აგროტურიზმი სოფლის ტურიზმის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც აერთიანებს ტურისტულ მომსახურებას სოფლის გარემოში და აგრარულ საქმიანობას. ის საშუალებას აძლევს ტურისტებს უშუალოდ გაეცნონ სოფლის ცხოვრების წესს, მიიღონ მონაწილეობა ფერმერულ სამუშაოებში და დააგემოვნონ ადგილობრივი პროდუქტები.

აგროტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში არსებობს ხელშემწყობი პირობები, რადგანაც ეს ქვეყანა ძალზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელობა, ხელშემწყობი გარემოებები, აუცილებლობა და წი-

ნაპირობები დასტურდება იმით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის კულტურის ნიშნები აისახა მითოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ძეგლებში, რაც გამოვლენილია ამ დარგთან დაკავშირებულ ადათ-წესებსა და ჩვეულებებში, სარწმუნეობრივი ხასიათის რიტუალებში.

აგროტურიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელია საქართველოს მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება: უმდიდრესი ფლორით და ფაუნით, დიდი სამონადირეო და სათევზაო სივრცით, ტყის ფონდის სიდიდითა და უნიკალობით, სამთო-სათხილამურო ტრასებით, მდიდარი ისტორიული და საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ძეგლებით.

აგროტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ევროპის რეგიონში განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებთნ. რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენციის გაზრდა შეიმჩნევა ევროპულ ბაზარზე. გაიზარდა სოფლის მცხოვრებთა შემოსავლები, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასორტიმენტი, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, დაიწყო ინფრასტრუქტურული ქსელის განვითარება,

აგროტურიზმის ხელშეწყობის იდეა დაფუძნებულია იმის მოლოდინზე, რომ თუ ტურისტები შეიძენენ ცოდნას და გააცნობიერებენ აგრობიზნესის მნიშვნელობას. ეს ხელს შეუწყობს მიწათმოქმედთა (ფერმერთა) ცხოვრების დონის გაუმჯობესებას,

საქართველოში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია გამოკვლევებით დადასტურდა, რომ აგროტურიზმის განვითარება განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს ავლენს სოფლის მოსახლეობაზე.

აგროტურიზმის და აგრობიზნესის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების დასახვა.:

• რეგიონის მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარება;

• აგრობიზნესის პოტენციალის, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა;

• რეგიონის აგრო-სტრუქტურული პროდუქტების შედარებითი უპირატესობები;

• აგრო პროდუქტების პრიორიტეტები და აგროტურიზმის განვითარების მოდელები;

• აგროტურიზმის განვითარების გავლენა გარემოს დაცვასა და სიღარიბის დაძლევაზე;

• აგროტურიზმის განვითარების როლი ინფრასტრუქტურის სრულყოფაში;

• აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების გავლენა აგროტურიზმის განვითარებაზე.

აგროტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ძირითადი ადგილობრივი სასურსართო პროდუქტებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები სტანდარტულ მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ტურისტებისათვის აგრო-სასურსართო პროდუქტების მიწოდების დროს გასათვალისწინებელი იყოს ბაზრის სეგმენტის შესწავლა. პოტენციური მომხმარებლები შესაძლებელია დაჯგუფდეს დემოგრაფიული პრინციპით: ასაკი, შემოსავლები, საცხოვრებელი ტერიტორია და სხვა. ტურისტული ინტერესების მიხედვით:

• ადამიანის პიროვნული მიდრეკილებები, პროფესიული ინტერესები, კულტურისა და ბუნების შესწავლის მიზნით და სხვა.

• აგრო-სასურსართო პროდუქტების მომხმარებლები სოცილური კრიტერიუმების მიხედვითაც უნდა შევაფასოთ. ამ თვალსაზრისით ოთხი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა: ბავშვები, ოჯახები; ახალგაზრდები; ხანდაზმულები; ზრდასრული ადამიანები.

აგროტურიზმის დადებითი მხარეებია:

• პოპულარობა: სუფთა გარემოში დასვენების და ავთენტური გამოცდილებების ძიება ხელს უწყობს აგროტურიზმის განვითარებას.

• ტექნოლოგიების ინტეგრაცია: ციფრული პლათფორმები და სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგროტურისტული ობიექტების პოპულარიზაციაში.

• დამატებითი სერვისები: ფერმერები სტუმრებს სთავაზობენ ვორქშოპებს, კულინარიულ კლასებს, ეკო-ტურებს და კულტურულ ღონისძიებებს.

სირთულეები

• ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ბევრ რეგიონში.

• ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ცნობიერება აგროტურიზმის პოტენციალის შესახებ.

• სტანდარტების და რეგულაციების არაერთგვაროვნება.

საქართველოში აგროტურიზმი და აგრობიზნესი მზარდი სექტორებია.

აგროტურიზმი: ადგილობრივი ტრადიციები, უნიკალური ღვინო და სოფფლური ცხოვრების სტილი იზიდავს ტურისტებს.

პერსპექტივები

• სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებელია აგროტურიზმის და აგრობიზნესის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

• მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში.

• აგროტურიზმისათვის მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საერთაშორისო ტურისტებში

იმისთვის, რომ აგროტურიზმს და აგრობიზნეს

ჰქონდეს განვითარების რეალური დადებითი გავლენა ქვეყნის მეურნეობასა და სოციალურ სფეროზე, ასევე გახდეს რეალური პრიორიტეტული მიმართულება, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ ასპექტს:

- ტურისტების ორიენტაცია ეკოლოგიური რესურსების მოხმარებაზე;
- ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება;
- პერიფერიული რეგიონების მოსახლეობისათვის ტრადიციული ცხოვრების სტილის შენარჩუნება.

აგროტურიზმის წარმატებული მაგალითები:

გურიის რეგიონი: გურიას აქვს ყველა წინაპირობა აგროტურიზმის წარმატებით განვითარებისათვის. რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელს უწყობს მემცენარეობის დარგების განვითარებას, როგორიცაა მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, კენკროვანი კულტურების წარმოება და სხვა. ასევე რეგიონში არის საყვავილე და სასათბურე მეურნეობები, რაც ტურისტებისთვის საინტერესოა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი:

სამცხე- ჯავახეთში აგროტურიზმის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობისადა ტურიზმის კავშირების გაძლიერებას. რაც ხელს შეუწყობსადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასდა ტურისტული სერვისების დივერსიფიკაციას.

დასკვნა

ამდენად ჩვენს მიერ მოძიებული მასალებიდან შეგვიძლია ვთქვათ რომ, აგროტურიზმი და აგრობიზნესი ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში აქტიურად ვითარდება. ამ სექტორებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოს დაცვითი და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებელია აგროტურიზმის და აგრობიზნესის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში.

აგროტურიზმისათვის მნიშვნელოვანი იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე საერთაშორისო ტურისტებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფხაკაძე თ „აგრარული ტურიზმის ხელშეწყობა".. 2021. https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29154

2. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - arda.gov.ge/

3. ჩავლეიშვილი მ. აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. `ეკონომიკა და ბიზნესი", თბ., 2010.